პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 217 (7028)

12 1981 წ. ნოემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

თბილისის „დინამო" სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი!

სპორტი ფიზკულტურის გაკვეთილით იწყება

საშუალო სკოლის საკმაოდ რთული პროგრამა — ყოველდღიურად 6–7 გაკვეთილი, საშინაო დავალებების მომზადება, საათობით ტელევიზორის ყურება... მოსწავლეთა ყოველდღიურ რეჟიმში ფიზკულტურისა და სპორტისთვის მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრებას მოითხოვს.

დიახ, ფიზკულტურა თანამედროვე მოსწავლისათვის ერთ-ერთი მეტად საჭირო საგანია: იგი აწრთობს ორგანიზმს, ავსებს ბავშვის მოძრაობითი აქტიურობის უკმარობას, ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, ხელს უწყობს ამტანობის გამომუშავებას.

ჩვენს ქვეყანაში ძალზე ბევრი კეთდება იმისთვის, რომ ფიზკულტურამ დიდი როლი შეასრულოს მოზარდთა გაკაჟებაში. ეს ზრუნვა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ბოლო წლებში. სკპ XXVI ყრილობამ ფართო პროგრამა დასახა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, სკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს წლევანდელი სექტემბრის გადაწყვეტილებამ — „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი მასობრივი აღმავლობის შესახებ" კი, კიდევ ერთხელ ხაზგასმით დაადასტურა მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ფართოდ გაშლის აუცილებლობა.

თუ რა როლი ენიჭება დადგენილების სისრულეში მოსაყვანად ფიზკულტურის მასწავლებელს, სასკოლო ფიზკულტურულ ორგანიზაციას საყოველთაოდ ცნობილია: მოზარდი თაობის ფიზიკური სრულყოფისთვის ზრუნვა, მისი შემდგომი ამაღლება მოითხოვს კეთილმოწყობილ სპორტულ დარბაზებს, მოედნებს, აუზებს... ფიზაღზრდის გაკვეთილების არაფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით ჩატარებას, როცა მასწავლებელი მოუთმენლად ელის გაკვეთილის დამთავრების ზარს, არამედ მოსწავლეთა ფიზიკური გაკაჟებისათვის განკუთვნილი დროის რაციონალურად გამოყენებას, საგნით მოზარდის კიდევ უფრო დაინტერესებას.

სწორედ კარგად ჩატარებული ფიზკულტურის გაკვეთილებია ის ანდამატი, რომელიც შემდეგ მოზარდს სპორტში იზიდავს, სპორტი კი სხვა არაფერია თუ არა გამაჯანსაღებელი ფიზკულტურის გაცილებით მაღალი ფორმა, როცა ახალგაზრდას შეგნებული აქვს მისი ცხოველმყოფელობა და უკვე შემოქმედებითად უდგება სექციაში, ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ ყოველ მეცადინეობას.

ჩვენმა რედაქციამ აგვისტოს დამლევს მოაწყო სპეციალური რეიდი, თუ როგორ ეგებებოდნენ დედაქალაქის სკოლების ფიზკულტურის ბაზები ახალ სასწავლო წელს. ბევრი კარგი ფაქტის მოწმე ვიყავით, მაგრამ ხარვეზებიც საკმაოდ ვნახეთ და სააშკარაოზეც გამოვიტანეთ. მაშინ სარეიდო მასალაში ლაპარაკი იყო თბილისის 25-ე, 30-ე, 46-ე, მე-60 სკოლების ბაზების ხარვეზებზე.

გაზეთის სიგნალს დროულად გამოეხმაურა თბილისის განათლების სამმართველო — კრიტიკა სამართლიანად ცნო და ნაკლოვანებების გამოსწორებისთვის გატარებული ღონისძიებაც შეგვატყობინა, მაგრამ ვიცით, რომ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, გორში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, დაბებსა და სოფლებში ჯერ კიდევ არის სკოლები, რომელთა სპორტული ნაგებობანი მზად არ არის კარს მომდგარი ზამთრისთვის, ზოგს სპორტდარბაზიც კი არ აქვს, მთიანი რაიონების სკოლებს სათანადოდ არ მოუმარაგებიათ ზამთრის ინვენტარი, რაც აკადემიური საათების ღია ცის ქვეშ ჩატარების საშუალებას იძლევა, სუფთა ჰაერზე წრთობა კი გაცილებით ეფექტურია. ამას შესანიშნავად ადასტურებს ბაკურიანის, მესტიის, ონის, ხულოს, თბილისის, ქუთაისის და ზოგიერთი სხვა სკოლების დადებითი გამოცდილება.

მოსწავლეთა ჯანმრთელობის გათვალისწინებით ჩატარებული ფიზკულტურის სრულფასოვანი გაკვეთილები დაღლილობასთან ბრძოლის, შრომისნაყოფიერების ამაღლების ნაცადი ხერხია და მას ყველა რანგის სკოლაში ყველა პედაგოგი, ყველა აკადემიური საათისა თუ სექციური მეცადინეობის დროს უნდა იყენებდეს.

დასამალი როდია, რომ რესპუბლიკის ბევრ სკოლაში ფიზკულტურის სწავლების დაბალი დონე განაპირობებს მოზარდთა სპორტის რეზერვის უკმარობას — მასწავლებლები სექციებში მეცადინეობისთვის ვერ იზიდავენ მოზარდებს, ამიტომაც ჯგუფების მასობრიობა მინიმუმამდე დავიდა. აქედან გამომდინარე, დაბალია პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევის პროცენტი, ეს კი თავისთავად განაპირობებს რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში ადრე მოპოვებული მაღალი პოზიციების დათმობას. ძირითადად ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მოსწავლეთა წლევანდელ XVI საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს მოზარდებმა ბევრით ვერაფრით გაგვახარეს.

მოსალოდნელი იყო, რომ ვილნიუსის, კაუნასის, ტრაკაის სტარტების შედეგებიდან ჩვენი მასწავლებლები, მწვრთნელები სათანადო დასკვნებს გააკეთებდნენ. ვარაუდი არ გამართლდა — მთელ რიგ სახეობებში მოსწავლეთა რესპუბლიკური საშემოდგომო პირველობები კვლავ დაბალი შედეგებით აღინიშნა.

რესპუბლიკაში საკმაო რაოდენობითაა მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლები. ფიზკულტურის მასწავლებლების ვალია ამ სკოლებს საშუალო სკოლების კონტინგენტიდან სათანადო შევსება მოუმზადონ, სპეციალიზებულმა სპორტსკოლებმა კი თავის მხრივ ყველაფერი უნდა გააკეთონ ჩვენი რესპუბლიკის, საბჭოთა სპორტის მონაპოვრის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის.

დასასრულს უახლოვდება 1981 წლის საფეხბურთო სეზონი, გუშინ კი ფინიში ჰქონდა სსრ კავშირის 44-ე ჩემპიონატს.

თბილისის დინამოელებმა დასკვნითი მატჩი მთელი მონდომებით, სრული შემართებით ჩაატარეს კრასნოდარის „კუბანთან", მორიგი გამარჯვება ჩაიწერეს თავიანთ აქტივში და ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭეს.

ეს დიდი წარმატებაა! ფეხბურთის მოყვარულებმა, საქართველოს მთელმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ, ფართო სპორტულმა წრეებმა კარგად იციან თუ რა ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწიეს წლეულს თბილისის დინამოელებმა, მათს ჩამოთვლას არ შევუდგებით. 1981 წელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი სახელოვანი გუნდის მდიდარ ისტორიაში. არასდროს, არც ერთ პერიოდში ჩვენს ფეხბურთელებს არ ჰქონიათ ასეთი წარმატებები, ამიტომ თითოეული ჩვენგანის გული აღვსილია სიხარულით, ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს ვულოცავთ ამ შესანიშნავად განვლილ სეზონს, მთელს კოლექტივს ვუსურვებთ ახალ გამარჯვებებს, ახალ წარმატებებს.

სურათზე: თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივი.

ვინ როგორ მუშაობს?

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა შეაჯამა უმაღლესი სპორტული ოსტატობის ამაღლებისთვის რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების წლევანდელი 10 თვის შედეგები.

I ჯგუფი — ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების ჯგუფი

	ადგილები			
	I	II	III	ქ.
ქ. თბილისი	128	92	106	3485,0
ქ. ქუთაისი	15	8	10	301
ქ. ფოთი	8	9	6	199,0
ქ. რუსთავი	7	7	12	184,0
ქ. გორი	6	5	4	145,0
აფხაზეთის ასსრ	6	3	7	138,0
აჭარის ასსრ	6	3	4	105,0
ქ. ზუგდიდი	5	4	6	84,0
სამხ. ოს. ა. ო.	—	—	1	3,0

II ჯგუფი — სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ჯგუფი

„დინამო"	33	20	14	1095,0
„ბურევესტ."	31	18	26	1024,0
„შრ. რეზერ."	27	24	46	618,0
„განთიადი"	26	22	24	597,0
ასკ	30	12	16	534,0
„ლოკომოტივი"	12	5	6	359,0
„კოლმეურნე"	11	12	14	314,0
„სპარტაკი"	7	10	12	165,0
„ვოდნიკი"	5	9	8	147,0
„ზენიტი"	2	3	4	55,0

III ჯგუფი — რესპუბლიკის რაიონები

დუშეთი	5	3	5	151,0
მახარაძე	2	—	2	46,0
კასპი	2	3	—	44,0
მესტია	2	—	—	35,0
საჩხერე	1	—	1	24,0
ქარელი	1	—	3	23,0
მცხეთა	—	1	2	15,0
გარდაბანი	1	—	—	15,0
ახალციხე	—	—	2	6,0
თელავი	—	—	1	0

შენიშვნა: 1. გრაფაში — „ადგილები" აღნიშნულია სპორტსმენებისა და გუნდების მიერ მსოფლიოს, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონატებში, საკავშირო სპორტკომიტეტის მიერ დამტკიცებულ საკავშირო შეჯიბრებებსა და ტურნირებში, საერთაშორისო ასპარეზობებში მოპოვებული ადგილების რაოდენობა. 2. გრაფაში — „ქულები" გათვალისწინებულია მხოლოდ ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებში მოგროვებული ქულები სათანადო კოეფიციენტთა გათვალისწინებით: I ადგილისთვის — 5 ქულა, II ადგილისთვის — 3 ქულა, III — ადგილისთვის — 1 ქულა.

საქართველოს სპორტკომიტეტის დაგეგმვისა და სპორტული რეზერვის განყოფილება.

პანორამა

● კალათბურთი

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრების დამთავრების შემდეგ შედგა ჩვენი ქვეყნის ნაკრების კანდიდატთა სია, რომელშიც მხოლოდ ერთი თბილისელია. ეს გახლავთ ნ. დერიუგინი. კანდიდატთა სია ასე გამოიყურება:

ცენტრალური თავდამსხმელები — ბელოსტენი, ტკაჩენკო, დერიუგინი, საბონისი, გრიშაევი, კარავაევი; **განაპირა მოთამაშენი** — მიშკინი, ლოპატოვი, ტარაკანოვი, ბერეჟნოი, სუხარევი, ტიხონენკო, ტიუმინი, იოვაიშა, ლევიცკი; **მცველები** — ვალტერსი, ერიომინი, ენდენი, ხომიჩუსი, მილოსერდოვი, ბირიუკოვი, ეკაბსონსი, მიგლინიეკსი, კაპჩკასი, არლაუსკასი, კაპუსტინი.

კიევში გაიმართა ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითი მატჩი ადგილობრივ „სტროიტელსა" და ბუქარესტის „დინამოს" შორის. წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს — 68:59 და მეოთხედფინალში გავიდნენ.

● მძლეოსნობა

როგორც ევროპის მძლეოსნობის ასოციაციამ გამოაცხადა, კონტინენტის 1986 წლის ჩემპიონატი დასავლეთ გერმანიის ქალაქ შტუტგარტში გაიმართება. ამ ასოციაციამ ლონდონში ჩატარებულ მორიგ კონგრესზე გადაწყვიტა კონტინენტის მომავალი წლის ჩემპიონატის პროგრამაში შეიტანოს ქალებისა და ვაჟების რბენა 200 მეტრზე, აგრეთვე ქალთა ასპარეზობა 3000 მეტრზე.

● ფრენბურთი

ქალთა მსოფლიო თასის გათამაშების III ტურში ტოკიოში საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს — დაამარცხეს ბრაზილიელები — 3:0. მსოფლიოს ჩემპიონებმა — კუბელმა ფრენბურთელებმა შეხვედრა დათმეს ამერიკელებთან — 1:3. დანარჩენ ორ მატჩში ერთნაირი ანგარიშით (3:0) გაიმარჯვეს: იაპონელებმა — ბულგარელებთან, ხოლო ჩინელებმა — სამხრეთ კორეელებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკური კულტურა და სპორტი — მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში!

იმედის მომცემი ახალგაზრდები

● თავისუფალი ჭიდაობა

ბათუმში დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა საშემოდგომო რესპუბლიკური პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 1966-67 წლებში დაბადებულთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 293 სპორტსმენი. შეჯიბრების მიზანი იყო თავისუფალი სტილის ჭიდაობის ჯგუფების მუშაობის დათვალიერება და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდისათვის კანდიდატების შერჩევა.

ასპარეზობამ გვიჩვენა ნორჩი მოჭიდავეების კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. შეუპოვარი და ფიცხელი ბრძოლები მიმდინარეობდა ყველა წონით კატეგორიაში. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონთა და პრიზიორთა გეოგრაფია გაიზარდა. ადრე თუ ძირითადად თბილისისა და აფხაზეთის მოსწავლე-მოჭიდავეები გვხვდებოდნენ ფინალურ შეხვედრებში, ახლა მათ დაემატა გორის, კასპის, რუსთავის, ქუთაისის, ბოლნისის, ყვარლის, სამტრედიის, ონისა და ვანის რაიონების წარმომადგენლებიც.

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადაზე დამსახურებული პირველი ადგილი დაიკავეს. ამ საშემოდგომო ასპარეზობაზეც კარგად გამოავლინეს თავისი შესაძლებლობანი, ეს კი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საქართველოს თავისუფალი სტილის ჭიდაობას მომავალში კარგი პირი უჩანს. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით შრომისმოყვარე ახალგაზრდა მწვრთნელებს: ა. სირანაშვილს, ზ. ილურიძეს, შ. კიკაბიძეს, ს. ნარიაშვილს, გ. ხარებავას, ვ. მესტვირიშვილს, გ. ფახურიშვილს და სხვებს.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდნენ: გ. ხინჩაგაშვილი, ზ. ავაზაშვილი (ორივე — გორი), მ. ხარჩილავა (ტყვარჩელი), ქ. კუნჭულია (ქუთაისი), მ. ბელთაძე (ვანი), გ. შავაძე (ბათუმი), მ. ტოხვაძე (სამტრედია), დ. ემინოვი (კასპი), ვ. მიქელაძე (ბოლნისი), რ. ქორიძე (ბათუმი), ა. გოგრიჭიანი (ონი), გ. თოლორდავა (სოხუმი), ს. ბობარიაშვილი, ვ. მაისურაძე, ვ. სულთანიშვილი, ა. ეპრიკოვი (ყველა — თბილისი), ვ. ლოჩოშვილი (რუსთავი).

ჯ. ლორია,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ახალბედების დონეზე

● წყალბურთი

სსრ კავშირის მოსწავლეთა XVI სპარტაკიადის ალამის დაშვების შემდეგ არც თუ ისე დიდი დრო გავიდა. მწვრთნელები და მათი ნორჩი აღსაზრდელები უკვე მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების თადარიგს შეუდგნენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ სპარტაკიადისთვის სამზადისი უფრო თადარიგიანებმა ორი-სამი წლის წინათაც დაიწყეს. ასეა მთელ რიგ ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს წყალბურთელებზე, რომლებმაც მომავალი სტარტებისათვის მზადებას მხოლოდ ახლა შეუდგნენ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ახლახან საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში გამართული რესპუბლიკური პირველობა, რომელშიც 1966-67 წლებში დაბადებული ნორჩები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრებაში აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და მასპინძელთა ორი გუნდი ჩაება. ასპარეზობა შესანიშნავად განვლო ქუთაისელთა ნაკრებმა, რომელმაც ასეთი ანგარიშით დაამარცხა მეტოქეები: თბილისის I ნაკრები — 4:3, მეორე გუნდი — 8:7, აჭარელი წყალბურთელები — 9:7, აფხაზეთის წარმომადგენლები — 15:3 და 8 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა.



მეორე იყო თბილისის I ნაკრები (6 ქულა), მესამე — თბილისის II გუნდი (4). მომდევნო ადგილები თითო ქულით შესაბამისად აჭარისა და აფხაზეთის გუნდებმა დაიკავეს.

ასპარეზობის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო მეთოდური რესპუბლიკური ცენტრის მწვრთნელ-მეთოდისტს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ვ. ბარნაბიშვილს.

— ამ შეჯიბრების უპირველესი მიზანი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევა იყო, — თქვა ვ. ბარნაბიშვილმა, — სამწუხაროდ, შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ მწვრთნელები ადგილებზე სათანადოდ ვერ მუშაობენ. მათი აღსაზრდელების უმეტესობის ოსტატობა ახალბედების დონეზეა. აშკარაა, მწვრთნელები თავდაპირველად წყალბურთელებს არ ასწავლიან ბურთის ფლობის ტექნიკას, თამაშის ტაქტიკას. პირიქით, ისინი წყალბურთელებს აჩვევენ, თუ აკრძალული ილეთებით როგორ „ეჭიდაონ“, როგორ შებოჭონ მეტოქე. ამასთან, ბევრი წყალბურთელი ვერც კარგი ცურვით მოიწონებს თავს. იქნებ ბევრმა „უწყლობით“ იმართლოს თავი, მაგრამ საინტერესოა, საერთო ფიზიკურ მომზადებას წინ რაღა ედგა. ქუთაისელთა გამარჯვება კანონზომიერი გახლდათ.

ა. რაჭველიშვილი.

კვლავ ძველებურად

● საბაიდარო ნიჩბოსნობა

მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადაზე ბაიდარებითა და კანოეებით შეჯიბრებაში, რომელიც თრაკაიში გაიმართა, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა ვერაფრით გამოიჩინა თავი და მეტად მოკრძალებული XIV ადგილით დაკმაყოფილდა.

მოსალოდნელი იყო, რომ რესპუბლიკაში მომუშავე მწვრთნელები ამ სამარცხვინო ჩავარდნიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანდნენ და ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე საფუძვლიანად გარდაქმნიდნენ მუშაობას, მაგრამ... როგორც ამ დღეებში ფოთში გამართულმა რესპუბლიკურმა პირველობამ დაგვანახა, ეს ასე არ მომხდარა: ჯერ კიდევ დაბალია მოზარდთა ტექნიკური მომზადების დონე; აშკარად იგრძნობა, რომ მწვრთნელები კვლავ ძველებურად მუშაობენ. მართალია, გვხვდება თითო-ოროლა სასიამოვნო გამონაკლისი (მაგალითად, გალელი მწვრთნელი ვ. მიქავა), მაგრამ ეს საქმეს არ შველის.

საქართველოს განათლების სამინისტროს შესაბამისმა სამმართველომ დასახა სპორტის ამ სახეობაში მდგომარეობის გამოსწორების გზა: მცხეთაში გაიხსნა სპორტსკოლაინტერნატის სპეციალური ფილიალი, მაგრამ თუ ყველამ გულთან არ მიიტანა შექმნილი მდგომარეობა, შესაძლოა მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადაში უარესის მოწმენიც ვიყოთ..

ფოთში მოუმზადებელნი ჩავიდნენ აჭარის და ქუთაისის ნაკრები გუნდები, რომლებიც VI და VII ადგილებზე დარჩნენ. არადა, ქუთაისში ნიჩბოსნობის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლაა.

სასიქადულო არაფერი აქვთ ერთ დროს კარგი ტრადიციების მქონე ფოთელ და რუსთაველ მწვრთნელებს. მათი აღსაზრდელები გუნდურ ჩათვლაში IV და V ადგილებს დასჯერდნენ. ყველას ისევ მცხეთის ნაკრებმა აჯობა: მან 787 ქულა მოაგროვა და 35 ქულით ჩამოიტოვა თბილისის კოლექტივი. III ადგილზე გავიდნენ აფხაზეთის ნიჩბოსნები — 694.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით შედგა საქართველოს მოზარდთა ნაკრები, რომელიც შეუდგება მომავალი საკავშირო სტარტებისთვის მზადებას. განსაკუთრებით ნიჭიერნი ჩაირიცხნენ სპორტსკოლაინტერნატში, სადაც მათ ინტენსიური მზადების გაცილებით უკეთესი პირობები ექნებათ.

ახლა პირადი ტურნირის ტექნიკურ შედეგებზე.

შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფად გაიმართა: 1965-66 წლებში დაბადებულნი და 1967-68 წლიანები ცალ-ცალკე ცდიდნენ ძალებს. **უფროსი ასაკის ჭაბუკებში ერთადგილიანი ბაიდარებით** 500 და 1000 მეტრზე შეჯიბრებაში უძლიერესი იყო. ი. გუდკოვი (აფხაზეთი). იგი თბილისის სპორტსკოლაინტერნატში სწავლობს და ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში ირიცხება. მან შესაბამისად 1.54,4 და 4.28,5 აჩვენა. ორადგილიანებით ორივე მანძილზე პირველობა მოიგეს მცხეთელებმა ნ. გიგაურმა და ბ. მერებაშვილმა (1.48,0 და 3. 56,0).

კანოეებით ასპარეზობაში ფოთელთა უპირატესობა აშკარა იყო: ი. შარიქაძემ გამარჯვება არავის დაუთმო 500 (2.17,4) და 1000-მეტრიან (5.33,0) მანძილზე, ხოლო ზ. მალანიამ, გ. თოფურიასთან ერთად მოიგო ორადგილიანი ნავით რბოლა. ფოთელთა ამ დუეტმა შესაბამისად 2.02, 3 და 4.49,0 აჩვენა.

გოგონები 500 მეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ერთადგილიანი ბაიდარებით ფინიშთან პირველი მიიჭრა ლ. ვასილევიჩი (აჭარა) — 2.16,0, ხოლო ორადგილიანით — თბილისელები ლ. ზინკოვა და ო. აკოფოვა იყვნენ პირველნი — 2.12,7 (სამივე სკოლაინტერნატში სწავლობს).

უმცროსი ასაკის ბიჭებისთვის პროგრამაში იყო მხოლოდ 500 მეტრზე შეჯიბრება. გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მცხეთელი მოსწავლეები დადგნენ. ერთადგილიანი **ბაიდარით** მოასპარეზეთა შორის ეს იყო ი. კარეტნიკოვი (2.10,4), ორადგილიანით — კარეტნიკოვი და ი. გრებენიუკი (1.57,0), ერთადგილიანი **კანოეთი** — რ. ბერიძე (2.26,0) და ორადგილიანით, მანვე გ. ხატიაშვილთან ერთად მიაღწია წარმატებას — 2.14,0.

გოგონებში უპირატესობა თბილისელთა მხარეს იყო: ი. გიგოლაშვილმა ორი გამარჯვება იზეიმა: ჯერ ერთადგილიანი ნავით (2.32.4), ხოლო შემდეგ ი. ვართანიანთან ერთად ორადგილიანი ბაიდარითაც (2.24,0).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლების სამინისტროს დუშეთისა და თიანეთის რაიონებში 3-3 ჯგუფი აქვს გახსნილი, მაგრამ ისინი წლების განმავლობაში რესპუბლიკას არავითარ შევსებას არ აძლევენ. საქმე იმაშია, რომ დუშეთში, ბაზალეთის ტბაზე მომუშავე მწვრთნელებისთვის სათანადო პირობების შექმნა (ეს განსაკუთრებით ინვენტარს ეხება) არ მოხერხდა, ვინაიდან ადგილობრივი განათლების განყოფილება, ფიზკულტურის კომიტეტი, სპორტსაზოგადოებები ამისთვის არ ზრუნავენ. თიანეთის რაიონში, სიონის წყალსაცავზე კი მწვრთნელ ლ. ზარიძეს გაცილებით უკეთესი პირობები აქვს — იგი ინვენტარის უკმარობას ვერ დაემდურება, მაგრამ თვითონ არ მუშაობს სათანადო უკუგებით. არადა, სიონის საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის ნიჩბოსნობა ფაქტიურად სპორტის ერთადერთი სახეობაა, ოღონდ მათ დარაზმვა და დაინტერესება სჭირდებათ.

მ. ზაქარეიშვილი.

უნდა გამოფხიზლდნენ

● აკადემიური ნიჩბოსნობა

თბილისის ზღვაზე გაიმართა მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 5 გუნდი, თავიანთი წარმომადგენლები რატომღაც არ გამოგზავნეს რუსთავისა და აფხაზეთის სპორტსკოლებმა.

საქართველოს ნაკრებმა მოსწავლეთა წლევანდელ საკავშირო სპარტაკიადაზე ამ სახეობაში საგრძნობლად წაიწია წინ და VII ადგილი დაიკავა. მოსალოდნელი იყო, რომ ამ წინსვლის შესანარჩუნებლად ადგილებზე უფრო გაშლიდნენ მუშაობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვარაუდი არ გამართლდა: განვლილ ასპარეზობაზე სრულად დაკომპლექტებული 23-კაციანი გუნდი მხოლოდ მცხეთამ გამოიყვანა. ბათუმი 10 ნიჩბოსნით წარსდგა, ქუთაისის კოლექტივს აკლდა 6 ნიჩბოსანი, არადა ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის განათლების განყოფილების ნიჩბოსნობის სპეციალიზებული სკოლა „აკადემიკოსთა“ 11 ჯგუფს ითვლის. ქუთაისელთა გულგრილობა მხოლოდ აქ მომუშავე მწვრთნელების უნიათობით უნდა აიხსნას, ამიტომ ურიგო არ იქნება თუ სკოლის დირექტორი შ. მალლაფერიძე აღმზრდელებს დროულად გამოაფხიზლებს.

დასამალი როდია, რომ სრული უკუგებით არც თბილისში მოქმედი 16 ჯგუფი და რუსთავისა და ბათუმის 3-3 ჯგუფი მუშაობს. შეიძლება მხოლოდ გამარჯვებულ კოლექტივს არაფერი ვუსაყვედუროთ, ისე კი სპორტსმენთა მომზადების დონე აშკარად დაბალი იყო ყველგან. სპეციალისტები აღარ მალავენ, რომ თრაკაის საკავშირო სპარტაკიადის სტარტების შემდეგ მწვრთნელები ერთგვარად მოეშვნენ, მოუკლეს მუშაობას.

გუნდური გამარჯვება მცხეთელმა ნიჩბოსნებმა მოიპოვეს. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ფოთისა და თბილისის კოლექტივები. პირად ტურნირში **გოგონებისთვის** პროგრამაში 1000 მეტრზე რბოლა იყო. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: ერთადგილიანი. მ. გეჯაძე (მცხეთა) — 4.23,0; ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი. გეჯაძე და ნ. კაპანაძე (მცხეთა) — 4.06,0; ორადგილიანი უმესაჭო. ზ. მალოლეტკინა და ნ. გელაშვილი (თბილისი) — 5.05,0; ოთხადგილიანი მესაჭით — თბილისის გუნდი (მ. მალოლეტკინა, ნ. გელაშვილი, ქ. თიგიშვილი, ი. სოროკინა, მესაჭე — ი. ლაფერაშვილი) — 4.04,0; ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანით შეჯიბრებაში მხოლოდ ერთი, ქუთაისის ეკიპაჟი მონაწილეობდა.

ჭაბუკები 1500 მეტრზე რბოლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აქ პირველი ადგილები დაიკავეს: ერთადგილიანით — ფოთელმა გ. კუციამ — 7.10,0; ორადგილიანი უმესაჭო გასაშლელით — თბილისელებმა მ. ხუციშვილმა და გ. ავქოფაშვილმა — 6.25,0; ორადგილიანი წყვილმოსასმელიანით — ფოთელებმა გ. კორტავამ და ო. გუსევმა — 6.25,0; ორადგილიანი მესაჭით — თბილისელებმა ი. სიზიკოვმა, გ. მინაიშვილმა და გ. დანელიამ (მესაჭე) — 7.10.

დანარჩენ სახეობებში ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდნენ ფოთელი სპორტსმენები: ოთხადგილიანი გასაშლელი მესაჭითა და უმესაჭოთი — ე. სემიონოვი, ს. ივანიცკი, ე. როგულევი და ი. ბერაია (მესაჭე ი. ბარხატინი), ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანით — კუცია, კორტავა, გუსევი და ზ. გიორგაძე.

ვფიქრობთ, აკადემიურ ნიჩბოსნობაში მოსწავლეთა ამ რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგებიდან საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდური რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელები სათანადო დასკვნებს გააკეთებენ, რათა მწვრთნელებმა საფუძვლიანად გარდაქმნან მუშაობა.

ა. ლომაია.

თბილისის „დინამოს" მაღალი კლასი
ქუთაისის „ტორპედო" უმაღლესი ლიგის კარიბჭესთან

„დი-ნა-მო!"

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 11 ნოემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 2:0 (1:0).

„დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, კაკილაშვილი, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (ცავა), ჩელებაძე (ჯოხაძე), შენგელია.

„ყუბანი": ბალახნინი, სემენიუკოვი, ჩებოტარიოვი, კომაროვი, ჩუგუნოვი, ჟურავჩაკი, ლაგოიდა, კალეშინი, პლოშნიკი, კოლესოვი, ჰასანოვი.

მსაჯი — ა. შევჩენკო (მოსკოვი).

მაყურებლები — 29.500.

მიმდინარეობდა მატჩის მე-2 წუთი, როცა შენგელია ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა „ყუბანის" საჯარიმო მოედანზე და ოდნავ ააცილა დარტყმა მიზანს. შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ კრასნოდარელი ფეხბურთელები, რომელთათვისაც ამ მატჩს არ ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა, არ იბრძოლებდნენ ძალების მაქსიმალური დაძაბვით და იოლად შეურიგდებოდნენ წაგებულთა ხვედრს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. „ყუბანმა" გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო, შესწირა თამაშს მთელი ძალა და, რახან ეს ასეა, მით უფრო საპატიოა თბილისელ ფეხბურთელთა ეს ბოლო გამარჯვება, მით უფრო საპატიოა რამაზ შენგელიას მიერ ალალად, ნამდვილ ბრძოლაში გატანილი ორივე ბურთი.

21-ე წუთზე დინამოელებმა მარჯვენა ფლანგის სიღრმიდან წამოიწყეს შეტევა, შემდეგ ცენტრში გადაიყვანეს ბურთი და იქ თავით ზუსტად ითამაშა შენგელიამ — 1:0.

სტუმრები ტაიმის დასასრულამდე ცდილობდნენ როგორმე გამოესწორებინათ მდგომარეობა, მართალია, „დინამოს" კართან მათ სახიფათო ბევრი არაფერი შეუქმნიათ, საკუთარ ნახევარზე კი შეუპოვრად იცავდნენ თავს.

მეორე ნახევარში თამაში თითქმის მთლიანად „ყუბანის" ნახევარზე მიმდინარეობდა, სახიფათო მომენტებს თვლა არა ჰქონდა. 63-ე წუთზე სვანაძე წამით ღიად დარჩა კარის წინ, მაგრამ საკუთრივ გოლის გატანას არჩია ასისტენტობა გაეწია შენგელიასთვის, სწრაფად გადასცა მას ბურთი და ეს უკანასკნელიც ვალში არ დარჩა პარტნიორს — 2:0.

დარჩენილ დროში დინამოელებს კიდევ არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღწიათ წარმატებისთვის, მიეღწიათ დიდი ანგარიშით მოგებისთვის, მაგრამ მეკარე ბალახნინმა და მცველებმა შეძლეს „ყუბანის" კარის უვნებელყოფა.

2:0 — ასე მოიგო თბილისის „დინამომ" დასკვნითი მატჩი კრასნოდარელებთან და განიმტკიცა საპატიო მესამე ადგილი.

რ. ქორიძე.

□

გუშინ ბომბარდირმა რამაზ შენგელიამ თავის აქტივს კიდევ 2 ბურთი მიუმატა და 23 გოლით პირველ ადგილზე გავიდა. იგი დაჯილდოვდება გაზეთ „ტრუდის" სპეციალური პრიზით. ამას გარდა, რ. შენგელიას ახლა გ. ფედოტოვის სახელობის 100-იანთა კლუბის ჩათვლაში 95 გატანილი ბურთი აქვს.

სურათზე: 44-ე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი რამაზ შენგელია („დინამო", თბილისი).

უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 44-ე ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. მათი შედეგები ასეთია:

„არარატი" — „ტავრია" 2:1
„ზენიტი" — ცსკა 1:3
„დინამო" მნ. — „ტორპედო" 1:1
„სპარტაკი" — „დინამო" კ. 1:2
„დინამო" მ. — „ჩერნომორეცი" 1:0
„ქაირათი" — „შახტიორი" 2:0
„ფახთაქორი" — „დნეპრი" 1:2
„ნეფთჩი" — ასკ რ. 2:0

საგოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." კ.	34	22	9	3	58—26	53
„სპარტ."	34	19	8	7	70—40	46
„დინ." თბ.	34	16	10	8	62—35	42
„დინ." მ.	34	15	10	9	41—29	40
„ტორპ."	34	14	14	6	41—29	38
ცსკა	34	14	9	11	39—33	37
„შახტ."	34	12	10	12	51—39	34
„დნეპრი"	34	12	8	14	42—53	32
„დინ." მნ.	34	11	13	10	44—39	32
„ნეფთჩი"	34	11	12	11	34—49	32
„ჩერნომ."	34	11	9	14	36—44	31
„ქაირათი"	34	10	12	12	42—46	30
„ყუბანი"	34	11	7	16	42—54	29
„არარატი"	34	10	9	15	44—50	29
„ზენიტი"	34	9	10	15	33—43	28
ასკ რ.	34	8	10	16	39—58	26
„ტავრია"	34	8	7	19	27—54	23
„ფახთაქ."	34	7	5	22	34—58	19

ამრიგად, სსრ კავშირის 44-ე ჩემპიონატში პირველ 3 ადგილზე გავიდნენ „დინამო" (კიევი), „სპარტაკი" (მოსკოვი), „დინამო" (თბილისი). უმაღლესი ლიგა დატოვეს სიმფეროპოლის „ტავრიამ" და როსტოვის არმიელთა გუნდმა.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ, ვინც სხვადასხვა დროს გამოვდიოდით ქუთაისის „ტორპედოს" ალმით, კარგად გვახსოვს ამ შესანიშნავ გუნდში გატარებული დღეები. ერთ დროს ამ კოლექტივს, რომელიც ყველასგან გამოირჩეოდა თამაშის თავისებური ხელწერით, ლიდერთა რიგების რეპუტაციაც კი ჰქონდა დამკვიდრებული. გაიხსენეთ შესანიშნავი გამარჯვება მოსკოვის „დინამოსთან" 1963 წელს სტუმრად. ანდა, აიღეთ ქუთაისის სტადიონზე მოპოვებული გამარჯვება საკავშირო ჩემპიონატის ლიდერ კიევის „დინამოსთან", რის შემდეგ ოქროს მედლები წილად ხვდათ ქუთაისელთა თანაკლუბელებს — მოსკოვის ტორპედოელებს.

ქუთაისის „ტორპედო" მუდამ ხიბლავდა მაყურებელს ცეცხლოვანი, ტემპიანი თამაშით. იგი ანგარიშგასაწევი მეტოქე იყო უმაღლესი ლიგის ნებისმიერი გუნდისთვის, ვინაიდან მისგან ყოველგვარ სიურპრიზს ელოდნენ. შემდეგ, სამწუხაროდ, გუნდმა დატოვა უმაღლესი ლიგა და ახლა, მრავალწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ შეექმნა რეალური, ნაღდი შესაძლებლობა დაუბრუნდეს უძლიერესთა რიგებს. ამ მიზნის მისაღწევად სულ ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ქუთაისის „ტორპედოს" დღევანდელ მოთამაშეებს, მწვრთნელებს და ხელმძღვანელობას კარგად აქვთ შეგნებული ამ მიზნის მნიშვნელობა და ეჭვი არ გვეპარება, რომ თითოეული მათგანი ყველაფერს გააკეთებს მიზნის მისაღწევად.

საქმე ქართული ფეხბურთის ღირსებას ეხება, რომელმაც მიმდინარე სეზონში მთელი ევროპა აალაპარაკა. მაშ, კვლავაც ჟღერდეს მისი სახელი როგორც შინ, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

თქვენს გვერდით გვიგულეთ, მეგობრებო, ამ მძიმე 90-წუთიანი ბრძოლის დროს, რომელიც თქვენ გელით 13 ნოემბერს მიზნის მისაღწევად!

თბილისის „დინამოს" კოლექტივის წევრები: **ს. ქუტივაძე, გ. ნოდია, რ. შენგელია, თ. სულაქველიძე, თ. კოსტავა, ზ. სვანაძე, ლ. ანდღულაძე, ლ. მელიქია.**

I ლიგა

10 ნოემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ბოლოსწინა ტურის მატჩები.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „სპარტაკი" (კოსტრომა) 3:0 (2:0)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 10 ნოემბერი.

„ტორპედო": ქანთარია, შელია, ქორიძე, გ. მაჩაიძე, ფარულავა, ოქროპირაშვილი, მ. მაჩაიძე, ქვირია, ბურკაძე, დარჯანია (ცნობილაძე), გაბიჩვაძე (აგარუნოვი).

„სპარტაკი": კაპრალოვი (ჩისტოვი), ხარაიკინი, ნოზდრინი, ჟულკოვი, მარუსოვი, სოტნიკოვი, ივანოვი, სუჩილინი, ანდრეიჩენკო (კომარნიცკი), ჩიჟიკი, ბილიალეტდინოვი.

მსაჯი ნ. ბრეევი (სვერდლოვსკი).

დუბლიორები — 0:1.

ახლოვდება ის სადღესასწაულო ჟამი, როცა ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა კვლავ უნდა შეაღონ უმაღლესი ლიგის კარი. 9 წელი იბრძოდა ეს გუნდი უძლიერესთა შორის, შემდეგ 10 წლით გამოეთიშა მას და ახლა კვლავ უბრუნდება საუკეთესოთა რიგებს.

ბოლო წლების მანძილზე ტორპედოელებს არაერთხელ ჰქონიათ გარკვეული წარმატებები, მაგრამ წლეულს გუნდმა დაუღალავი, ენერგიული შრომით, დიდი მონდომებით, მაღალი ოსტატობით შეძლო მიეღწია იმ პოზიციებისთვის, საიდანაც სულ ერთი ნაბიჯის გადადგმაა საჭირო უმაღლეს ლიგაში მოსახვედრად, მაგრამ ამ ნაბიჯამდე საჭირო იყო მეტად ძნელი მატჩის მოგება კოსტრომის „სპარტაკთან". ქუთაისელ ფეხბურთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სათუოდ არ გაუხდიათ საქმე და გამარჯვების განაღდებას პირველივე წუთებიდან შეუდგნენ. ახალი დაწყებული იყო თამაში, როცა ბურკაძე კართან გაიჭრა, მაგრამ ძელს მოახვედრა ბურთი, შემდეგ მ. მაჩაიძემ ოდნავ ააცილა კარს, ფარულავას თავური დარტყმა კვლავ ძელმა მოიგერია.

პირველი 30 წუთის მანძილზე სპარტაკელებმა ვერაფერი შექმნეს ეპიზოდური საპასუხო იერიშების დროს, მათს კართან კი ზედიზედ, განუწყვეტლივ იქმნებოდა სახიფათო სიტუაციები, ხშირად იგერიებდა ბურთებს მეკარე კაპრალოვი, საჯარიმო მოედნის სიახლოვეს იყვნენ მიჯაჭვული მცველები.

30-ე წუთზე დარჯანიას დარტყმა ძელს მოხვდა, ბურთს მიუსწრო ფარულავამ და გახსნა ანგარიში, სამიოდე წუთის შემდეგ კი დარჯანიამ თვითვე იმარჯვა და მეორედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში — 2:0.

მაყურებლებით სავსე ტრიბუნები თვალს არ აცილებდნენ მინდორზე გაჩაღებულ ბრძოლას, მაგრამ ამავე დროს ყველას ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა რეპროდუქტორებისკენ, სადაც აცხადებდნენ, რომ ლანჩხუთის „გურია" თავის მინდორზე უგებდა ქუთაისელთა ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად — იაროსლავლის „შინიკს", ხოლო მეორე მეტოქე მოსკოვის „ლოკომოტივი" აგებდა ვორონეჟში.

შეიძლება ითქვას, რომ მეორე ტაიმის დასაწყისისთვის ტორპედოელთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ საქმის საბოლოოდ გასანაღდებლად საჭირო იყო კიდევ ერთი გოლი და იგი 65-ე წუთზე გაიტანა გაბიჩვაძემ ბურკაძის გადაცემით — 3:0!

უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩი ქუთაისის „ტორპედომ" დიდი ანგარიშით მოიგო. ახლა დარჩა, როგორც იტყვიან, „ბოლო აკორდი": 13 ნოემბრის მატჩი იაროსლავლის „შინიკთან". სატურნირო ცხრილი ნათლად და ამკარად მეტყველებს: არ არსებობს რამე სხვა ვარიანტი გარდა იმისა, რომ ტორპედოელებმა უნდა გაიმარჯვონ. ამ შემთხვევაში კი მათ კონკურენტი არ ეყოლებათ არავინ და საგაისოდ უმაღლეს ლიგაში მონაწილეობაც გარანტირებული იქნება. ამიტომ ყველანი მოუთმენლად ველით 13 ნოემბერს.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით ჩვენი კორ.).

● ●

„გურია" (ლანჩხუთი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:0 (1:0)

ლანჩხუთი. „კოლხეთის" სტადიონი. 10 ნოემბერი.

„გურია": აბუსერიძე, კვაჭანტირაძე, ნემსაძე, გოგოხია, ხომხიშვილი, ებანოიძე, კოპალეიშვილი, ქორიძე, ჩხაიძე, მეშკოვი, მეგრელაძე.

„შინიკი": ჩურკინი, ვიხარევი, ნ. სმირნოვი, მირონოვი, პანტელეევი, ცეპინი, კუზნეცოვი, ციურენკო, გავრილოვი, ზიუზინი, ა. სმირნოვი.

მსაჯი ა. კადეტოვი (მოსკოვი)

დუბლიორები — 0:8.

პირველ ათეულში მოხვედრა — ასეთი საპატიო მიზანი აქვს დასახული ლანჩხუთის „გურიას" და გუნდიც გათამაშების ფინიშზე წარმატებით იბრძვის მისი განხორციელებისთვის. მასპინძლებმა დიდი შემართებით, მობილიზებით იბრძოლეს ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელთან, დამაჯერებლად, დარწმუნებულად დაამარცხეს იგი.

„შინიკი" ყოველნაირად ცდილობდა მიეღწია უპირატესობისთვის, რამდენიმე სახიფათო კომბინაციაც გაითამაშა ა. სმირნოვის, გავრილოვის, ზიუზინისა და სხვათა მონაწილეობით, მაგრამ ლანჩხუთელებმა საფუძვლიანად გაამაგრეს მინდვრის შუაგული, ხოლო შეტევებში ხშირად მონაწილეობდნენ მეგრელაძე, ჩხაიძე, ქორიძე, კოპალეიშვილი, მეშკოვი.

გოლი, რომელმაც მატჩის ბედი „გურიის" სასარგებლოდ გადაწყვიტა, 31-ე წუთზე გაიტანა ჩხაიძემ მეგრელაძის გადაცემით. მეორე ტაიმში სტუმრები ბევრს ეცადნენ, ერთ მომენტში ძალზე ძნელი ბურთის აღება მოუხდა მეკარე აბუსერიძეს, მაგრამ საბოლოოდ ლანჩხუთელებმა იმარჯვეს და 2 ქულა ჩაიწერეს თავიანთ აქტივში.

ა. ორმოცაძე,
(ტელეფონით ჩვენი კორ.).

სხვა მატჩები

„ბუსტონი" (ჯიზაკი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 3:1, „პამირი" (დუშანბე) — „კარპატი" (ლვოვი) 1:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „პრიკარპატიე" (ივანო-ფრანკოვსკი) 2:0, ასკ (ოდესა) — „ისკრა" (სმოლენსკი) 3:2, „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „კუზბასი" (კემეროვო) 1:1, ასკ (კიევი) — „ტრაქტორი" (პავლოდარი) 1:1.

● ●

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტ-სტი"	**45**	**24**	**12**	**9**	**66—32**	**60**
„ტორპ."	**45**	**25**	**4**	**16**	**58—45**	**54**
„ლოკომ."	45	21	15	9	65—39	54
„შინიკი"	45	21	10	14	67—54	52
„კოლოსი"	45	20	11	14	68—50	51
„ქალგირ."	44	17	15	12	46—35	46
„ისკრა"	45	17	11	17	46—43	45
„კარპატი"	45	17	10	18	55—57	44
„პამირი"	45	17	10	18	51—53	44
„მეტ-გი"	45	16	13	16	56—50	44
„სპარ." ქ.	45	16	15	14	47—48	44
„გურია"	45	16	12	17	48—54	44
„ფაკელი"	45	17	9	19	45—44	43
„ნისტრუ"	44	16	11	17	50—48	43
ასკ ოდ.	45	15	13	17	60—53	42
„ზარია"	45	15	13	17	42—53	42
ასკ ხ.	45	16	8	21	50—56	40
ასკ კ.	45	15	10	20	57—71	40
„კუზბასი"	45	14	12	19	46—49	40
„პრიკარ."	**45**	**14**	**12**	**19**	**42—54**	**40**
„ბუსტონი"	**44**	**15**	**9**	**20**	**44—58**	**39**
„დინამო"	**45**	**13**	**13**	**19**	**43—58**	**38**
„სპარ." ო.	**44**	**12**	**12**	**20**	**30—49**	**36**
„ტრაქტ."	**45**	**12**	**14**	**19**	**41—65**	**36**

შესარჩევი ტურნირი

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ გადაწყვიტა ნიჭიერ, პერსპექტიულ ფეხბურთელთა შესარჩევად გამართოს ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთ საქართველოს (მწვრთნელი ფ. ჰელიძე), დასავლეთ საქართველოს (მწვრთნელი ა. გძელიძე), თბილისის (მწვრთნელი ზ. ებრალიძე) ნაკრები გუნდები და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები, რომელიც მონაწილეობდა „გადასასვლელის" საკავშირო ტურნირში (მწვრთნელი გ. მამალაძე).

თამაშები გაიმართება 12 და 14 ნოემბერს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე. შეხვედრათა დასაწყისი 13 საათზე და 15 საათსა და 30 წუთზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ქარსელაძის მემორიალზე

მასპინძლობს წყალტუბო

10 ნოემბერს კურორტ წყალტუბოს სანატორიუმ „ცენტროსოიუზის“ კლუბში საზეიმოდ გაიხსნა გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკისა და მწვრთნელის ვ. ქარსელაძის VI მემორიალი.

შეკრებილნი ტაშით შეეგებნენ მ. ჩიბურდანიძეს, ნ. გაფრინდაშვილს, ნ. ალექსანდრიას, თ. ხუგაშვილს, აგრეთვე, ხარკოვიდან, მოსკოვიდან, სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ მოჭადრაკეებს.

საღამო გახსნა წყალტუბოს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ავალიანმა. მემორიალის მონაწილეებს მიესალმნენ სანატორიუმ „გეოლოგის“ მთავარი ექიმი ე. სამადალაშვილი, კომკავშირის ქალაქკომის მდივანი ი. ხვადაგიანი, ნორჩი წყალტუბოელი მოჭადრაკე ირმა თუთბერიძე...

მონაწილეთა სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა თბილისელმა დიდოსტატმა ე. გუფელდმა. მემორიალის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა თ. გიორგაძემ ჩაატარა წილისყრა.

აი, მისი შედეგები: .

1. ნონა გაფრინდაშვილი, 2. გ. ზაიჩიკი, 3. ვ. გაფრინდაშვილი 4. ზ. აზმაიფარაშვილი, 5. ვ. სავონი (ხარკოვი), 6. ბ. გურგენიძე, 7. ე. უბილავა, 8. ზ. სტურუა, 9. ე. ვასიუკოვი. (მოსკოვი), 10. ა. გიპსლისი (რიგა), 11. გ. გიორგაძე, 12. ა. ჩერნინი (ხარკოვი), 13. გ. ანიკაევი (ლენინგრადი) 14. დ. გედევანიშვილი, 15. ე. გუფელდი, 16. ა. ერმოლინსკი (ლენინგრადი).

დასასრულ გაიმართა კონცერტი. მემორიალის გახსნას დაესწრო ჭადრაკის უამრავი მოყვარული ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, მაიაკოვსკიდან, ტყიბულიდან, წყალტუბოდან, სამტრედიიდან...

თ. ქიქავა,
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

* * *

სურათზე: მემორიალის საზეიმო გახსნაზე.

● სტადიონებსა და დარბაზებში

გაიმარჯვეს სტუდენტებმა

სოხუმში დამთავრდა აფხაზეთის „კოლმეურნეს“ პირადგუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ოჩამჩირის, გალის, სოხუმის, გულრიფშის, გუდაუთისა და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის გუნდები.

გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს სტუდენტმა-სპორტსმენებმა. მეორე იყო გუდაუთის რაიონის მოჭიდავეთა გუნდი, ხოლო მესამე — სოხუმის რაიონის ნაკრები, წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: კ. ჭკოვი, ა. ამიჩბა (გუდაუთის რაიონი), დ. ბერია, თ. საჯაია (გულრიფშის რაიონი), ე. მუსოიანი (სოხუმის რაიონი), დ. ჯანაშია, ე. ხეთარიძე, გ. ყურაშვილი, მ. ხურციძე, ლ. სამსიანი (ყველა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი).

შ. ჯალაღონია,
(„ლელოს“ კორ.).

სოხუმი.

უდანაკარგოდ...

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება თბილისის ჭაბუკთა და გოგონათა პირველობა ასეჯრიან შაშში.

9 ტურის შემდეგ 9 ქულით შეჯიბრებას ერთპიროვნულად ლიდერობს ლენინის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის აღსაზრდელი, ოსტატობის კანდიდატი ჯ. ბერიშვილი. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება ი. შერაზარდიშვილი. 8 ქულით მესამე ადგილზეა ი. წივწივაძე, 7-7 ქულა დაუგროვდათ დ. გულუაშვილსა და გ. ენიკოლოფოვს.

რ. ქერდიყოშვილი,
სპორტის ოსტატი.

რვა გუნდის მონაწილეობით

ცხინვალის ბაზებზე დამთავრდა „განთიადის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს სპარტაკიადა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში 8 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა. წარმატებით იასპარეზეს ცხინვალის ქარხანა „ვიბრომანქანის“ მუშა-სპორტსმენებმა. მათ პირველი ადგილები დაიკავეს ფრენბურთში (ვაჟები), მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, ტყვის სროლაში, მძლეოსნობასა და კალათბურთში (ვაჟები).

ტრიკოტაჟის თეთრეულის ფაბრიკის წარმომადგენლებმა თავი ისახელეს ფრენბურთელთა (ქალები) და მშთ კომპლექსის მრავალჭიდელთა პაექრობაში. ეს მათი დიდი წარმატებაა, ვინაიდან ტრიკოტაჟის თეთრეულის ფაბრიკა სულ ერთი თვეა რაც მწყობრში ჩადგა.

ფეხბურთში ჩემპიონი გახდა ხე-ტყის კომბინატი, სამკერვალო ფაბრიკის სპორტსმენებმა ჩემპიონობა იზეიმეს კალათბურთში (ქალები).

ვ. მელქოევი.
(„ლელოს“ კორ.).

საჩუქარი გულშემატკივრებს

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ქომაგებმა წლეულს ბევრი სიხარული განიცადეს. განსაკუთრებული ზეიმი, სახალხო ზეიმი იყო მაშინ, როცა ჩვენმა გუნდმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.

ამიტომაა, რომ სიამოვნებით ვკითხულობთ ყველაფერს, რაც კი ამ დიდი წარმატების შესახებ დაწერილა ან იწერება, ვაგროვებთ, ვინახავთ, სათუთად ვუვლით...

და, აი, კიდევ ახალი, ფრიად სასიამოვნო საჩუქარი — ლაღად, ხალისით წასაკითხი წიგნი, რომელსაც ჰქვია „დინამო“, „დინამო“, „დინამო“ და რომლის ავტორია ცნობილი მწერალი გ. ფანჯიკიძე.


დინამო, დინამო!

ფეხბურთზე დაწერილი წიგნი გ. ფანჯიკიძისთვის პირველი არაა. ეს საქმე მან კარგად იცის. ახლა კი მწერალი ესოდენ ამაღლევებელი, პატრიოტული, საშვილიშვილო მოვლენების პირისპირ იმყოფება და მისი კალამიც განსაკუთრებული, საზეიმო ენით ქღერს.

წიგნი დიდი არაა — თავიდან ბოლომდე, ილუსტრაციებთან ერთად, სულ რაღაც 60 გვერდს თუ აღწევს, მაგრამ მასალა განლაგებულია საინტერესოდ, მწერლის ძარღვიანი ენა იგრძნობა მთელი თხრობის მანძილზე, „დინამო“, „დინამო“, „დინამოს“ დიდი ხალისით წაიკითხავს ყველა, ვინც კი მას... იშოვის.

დიახ, დიახ — ვინც იშოვის, იმიტომ, რომ გამოცდილებით ვიცით ასეთ თემაზე დაწერილი რამ თვალის დახამხამებაში იყიდება ხოლმე.

დასასრულ, აღვნიშნავთ: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ამ წიგნის გამოშვებით კარგი საჩუქარი მიუძღვნა ფეხბურთის მოყვარულებსაც და თვით თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებსაც.

გ. ქორქია.

მოსკოვი ელის „ვარსკვლავებს“

მოსკოვის სპორტული კომპლექსი „ოლიმპიური“ მალე მთლიანად ტანმოვარჯიშეთა განკარგულებაში გადავა. აქ უკვე დაიდგა სპეციალური ფიცარნაგი, რომელზეც გამოვლენ მსოფლიოს XXI პირველობის მონაწილენი.

ეს ნოემბრის ბოლოს მოხდება. ამჟამად კი სპორტსმენები სტარტისათვის ემზადებიან. მას შემდეგ, რაც რუმინელმა მოსწავლემ ნადია კომანეჩიმ ტრიუმფით განვლო მონრეალის ოლიმპიური თამაშები, ამ ქალიშვილის გამოსვლას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოუთმენლად ელიან. რა თქმა უნდა, მას დიდი ინტერესით ელიან მოსკოვშიც, მაგრამ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური მრავალგზის ჩემპიონის ჩვენს დედაქალაქში ჩამოსვლა საეჭვოა.

ბუქარესტის ფიზკულტურისა და სპორტის ინსტიტუტის სტუდენტმა ამ ზაფხულს თავის დედაქალაქში გამართულ მსოფლიო უნივერსიადაზე გამარჯვების შემდეგ, შეუსვენებლივ განაგრძო ინტენსიური ვარჯიში. სამწუხაროდ, ეს მისი ერთადერთი სტარტი იყო მთელს სეზონში ასეთ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში. მიტომაც ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა მას სათანადოდ მომზადებულად არ თვლის, რათა მან ასეთი დიდი მასშტაბის ასპარეზობაში წარმატებით დაიცვას ქვეყნის ღირსება.

ამის გამო მწვრთნელებმა მას ღირსეული შემცვლელები მოუმზადეს სხვა უძლიერესი ტანმოვარჯიშეების სახით. კერძოდ, მოსკოვში ჩამოვლენ: კრისტინა გრიგორაში, ემილია ებერლე, დემიტრიცა ტურნერი, როდიკა დონკა, მელტა რუნი, მიქაელა სტანულეტი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ნ. კომანეჩისათვის ნაკრების კარი დაკეტილია — გამორიცხული არაა, რომ იგი ბოლო მომენტში ჩართონ გუნდში.

რაც შეეხება გუნდის წევრებს გრიგორაშს და ტურნერს, პირველი მადრიდში ევროპის ჩემპიონატზე უძლიერესი იყო ბჯენით ხტომაში, მეორე ადგილზე გამოვიდა მრავალჭიდსა და ნაირსიმაღლის ორძელზე, მესამეზე — თავისუფალ ვარჯიშში. მანვე ოქტომბერში საბერძნეთის სარბიელზე გამართულ ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატში უძლიერესის სახელი მოიპოვა, ხოლო ტურნერმა რუმინეთის ჩემპიონატში აბსოლუტური ჩემპიონის სახელი გაიყო აგაკესთან ერთად, რომელიც ახლა სათადარიგო ტანმოვარჯიშედ ჩამოვა მოსკოვში.

აქტიორული ხელოვნება

ჩვენს ქალაქში ერთობ გახშირდა ფეხბურთზე ლაპარაკი—ახალ მწვრთნელს გუნდის მომზადებაში თანამედროვე მეთოდები შეაქვს. ვარჯიშის დროსაც კი მაყურებელთა რიცხვი ტრიბუნებზე შესამჩნევად გაიზარდა.

გულშემატკივართა შორის, რომლებიც გუნდის მეცადინეობას თვალს ადევნებენ, მალე მეც აღმოვჩნდი.

—ახლა ვნახავთ წვრთნის ახალ მოდელს. — აღგზნებული იფშვნეტდა ხელებს ერთი მაყურებელი.

ამ დროს ჩვენს ყურამდე მოაღწია მწვრთნელ შკაპიკის სიტყვებმა:

ახლა კი დავამუშავებთ ჩვენ მიერ გატანილი ბურთის შემდეგ მინდორზე შექმნილ სიტუაციას.

— რისთვის? — ჰკითხა ჭმუხმა მცველმა.

— ამ მიმართებით ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ტექნიკური ხარვეზი, — სიტყვა შეაწყვეტინა მწვრთნელმა. — მაშასადამე, დავუშვათ, ექო, ბურთი გაიტანე. რას აკეთებ ამის შემდეგ?

ეკო გაოგნებული შესცქეროდა მწვრთნელს.

— უკანასკნელი გოლი გასულ სეზონში გავიტანე.

მწვრთნელმა თავზე იტაცა ხელი:

— ვითომ გაიტანე-მეთქი, ვითომ, გესმის!

ბოლოს და ბოლოს ფეხბურთელები ჩასწვდნენ მის აზრს. ეკომ მკერდი გამოზნიქა და წამიერად გაშტერდა, როგორც პოეტებს ემართებათ ხოლმე გონების განათების ჟამს. მერე უცებ ველურივით დაიღრიალა, შეხტა და ბალახზე ზიგზაგურად სირბილი დაიწყო, თანაც ზემოთ აწეული მუშტით ჰაერს ჯიქურ ჰკვეთდა. დანარჩენი ფეხბურთელები მგლის ხროვასავით უკან დასდევდნენ.

—კარგია,—მოუწონა მწვრთნელმა, — მხოლოდ აი, ეკო, გოლს გაიტან თუ არა, წამითაც არ უნდა დააყოვნო. აბა, კიდევ ერთხელ! ფეხბურთელებმა თავიანთი ადგილი დაიკავეს. ეკო ერთხანს გაუბედავად იდგა. მერე კი ფეხი შემართა თუ არა ბურთზე დასარტყმელად, თანაგუნდელებმა მყისვე მიირბინეს მასთან და ბეჭებზე ხელის ტყაპუნი დაუწყეს.

კმაყოფილმა მწვრთნელმა ფეხბურთელები შემოიკრიბა და რამდენიმე ახალი შენიშვნა მისცა. ეკოს კი შთამაგონებლად უთხრა, რომ სინამდვილეში ეს როგორც „ვითომ“ ისე კი არ უნდა გააკეთოს, არამედ ბურთი ნამდვილად უნდა გაიტანოს. ან გოლს გაიტანს, ანდა „სლოვაკში“ გადაბარგდება.

მწვრთნელმა კარის წინ სრულყოფილად შექმნა საგოლე სიტუაცია. ეკოს გარდა, ყველანი საჯარიმო მოედნის გარეთ გაიყვანა. ეკომ ბურთი კარის პირდაპირ თექვსმეტი მეტრის დაშორებით დადო, მერე კარგა მანძილით უკან დაიხია, გამოქანებულმა ფეხი მძლავრად დაარტყა და მაშინვე ხტუნვა დაიწყო.

— რა გახტუნავებს? — დაუღრიალა მწვრთნელმა, — გოლი რომ ვერ გაიტანე ის გიხარია? ყველანი ადგილებზე! შენ კი ეკო, თერთმეტი მეტრის მანძილიდან დაარტყამ.

ყველაფერი თავიდან გამეორდა, მაგრამ ეკომ ბურთი თერთმეტი მეტრიდანაც ვერ შეაგდო კარში. მერე ხუთნახევარი მეტრიდან დაარტყა და კვლავ უშედეგოდ. შემდეგ კი დანავსულმა მწვრთნელმა ეკო სხვა ფეხბურთელით შეცვალა. ბინდი ისე ჩამოწვა გოლი ვერ გაიტანეს...

მას შემდეგ, როგორც კი ჩვენები ბურთს გაიტანენ, კარგა ხანს მინდორზე დარბიან, ერთმანეთს ხელებს უტყაპუნებენ და ყიჟინებენ. მთელი სტადიონი აღნიშნავს პატარა სასწაულს — გოლის გატანას. მეც, ცხადია, აღტაცებული ვარ ჩვენი ფეხბურთელების აქტიორული ხელოვნებით.

ჩეხურიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 45-ე ტირაჟებისა, რომლებიც 7 ნოემბერს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 49“-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (24 ბარათი) — მოგება 1837 მანეთია, ოთხისთვის (1064 ბარათი) — 38, სამისთვის (17894 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (6 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1100 ბარათი) — 221, სამისთვის (41550 ბარათი) — 9.

რედაქტორის მოადგილე
უ. ძიძინაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
უე 08733
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17